

თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-ლოის და კამპ. სტამბაში, შალვაინის პროსპექტზე, რეიტერის სახლში.  
 თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღვსი: ВЪ Тифлисѣ. Въ конторѣ редакціи грузинской газетѣ „ВРЕМЯ“.  
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზე. შსი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრძენის ასაღებით გაზეთის სტრიქონზე 8 კაპ.

# ქრონოსი

## საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი:  
 ბაგაენით თბილისში და გარეშე ადგილებში: 6 მან. \*  
 ერთი წლისა — 7 მან. — — — 6 მან. \*  
 ნახევრის წლისა — 4 — — — 3 — 50 კ.  
 სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —  
 სალკე ერთის ნუმრისა გაზეთზე — 3 შაური.  
 \* „დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

**რედაქციისაგან.**  
 ხელის-მოწერა „დროებაზე“ ყოველთ-ვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირაპირადვე ნუმრისაგან.

რედაქცია უმოკრძინესად სთხოვს „დრო-ბის“ ხელის-მოწერალებს, რომელთაც გაზე-თის ფული ჯერ არ მოუყვათ, შემოიტანონ ეს ფული.

**შინაარსი:** ბრძანება ქაქასის ნამეტნიკის სამმართველოში. — მიწის ძვრა თბილისში. — შ. მიხანდარია. — ქორრესპონდენცია. — სალიტ-ერატურა. — საბერძნეთი. — მისია. — შე-ერთებული შტატები. — ტელეგრაფები. — სალიტერატურა ნაწილი: მუშა ხალხის ქალის და ოჯახის მდგომარეობა მეროპის წინა — სახელმწიფოებში. — წე-ქსები: შენგულე სიმღერა. — სერბიული მოტივები. — შენიშვნა. — სახანო და სერბობითი განცხადება. — ბიბლიოგრაფიული ცნობა.

**ბრძანება ქაქასის ნამეტნიკის სამმარ-თვალოში.**

9 ივნისს 1867 წ., ბოჯლოში. დანიშნებიან: მიროვი პოსტინიკის კანდიდატობა, მუთაისის გუ-ბერნიისა: მუთაისის უფლები; გეორგ ნაწილი, — ნადვარნი სოვეტნიკი მოსიძე; მესამე ნაწილი, — ტიტულიარნი სოვეტნიკი თავადი ნიჯარაძე და მესე-თე ნაწილი, — კოლეჯის სერკეტარი თავადი ლო-რდვიფანიძე; **მ. ზურგეთის უფლები:** გეორგ ნა-წილი; — გუბერნიის სერკეტარი **ჯაყელი** და მესამე ნაწილი, — ტიტულიარნი სოვეტნიკი თავადი **წულუ-კიძე**. **შარაპანის უფლები:** პირველ ნაწილი, — კოლეჯის რეგისტრატორი თავადი **ლორდვიფანი-ძე**, გეორგ ნაწილი — კოლეჯის ასესორი **ქორქა-შვილი** და მესამე — ნაწილი კოლეჯის სერკეტარი **ჩხვიძე** და **რაჭის უფლები:** პირველ ნაწილი — კოლ-ლეჯის რეგისტრატორი თავადი **წულუკიძე**, ჩარიც-ხება: თავადი **წულუკიძე**, რომელიც შინაგანის საქმეების მინისტრთან ირიცხებოდა — მიროვი პოსტინიკის კან-

დიდატი, პირველ ნაწილი, **მ. ზურგეთის უფლებ-ში**, (28 მაისიდან). დანიშნებიან: ქაქასის ნამეტ-ნიკის რეგის წევრი, დესტიტუტნი სტატსკი სოვეტ-ნიკი **შილაშვილი** პიატიგორსკს, ორის თვით-ივლისს და აგვისტოს, ჯამაგირით. დესტიტუტნი სტა-ტსკი სოვეტნიკი, თავადი **თუმანიშვილი** — ბას-თუმანის წყლებზე. **სამზღვარ გარეთ:** თბილი-სის 1 ნაწილის ექიმი, კოლეჯის სოვეტნიკი **ჩა-შნიცი** — ატარას, იტალიას და **შარანიას**, აგრე-თვე **პოლშას**, **მილნის**, **პეტერბურგის** და **მოსკოვის** გუბერნიებში; თბილისის უმცროსი პოლიციისტერი, ნადვარნი სუვეტნიკი მელიქ — **ბეგლიაროვი** — **მს-**მალოეს, **პრუსიას**, **გერმანიას**, **შარანიას** და **ანგლი-**ას.

— **შოვლა-უსამღვდელოესნი:** იმერეთის ეპისკოპოსი, **ბაბრიელ** და **ზორის** ეპისკოპოსი, და **ქართლის** ეპარქიის ეპარქი, **გერონტი** ყო-ველად — უმოწყალესათ 1 ხარისხის წმ. ანნის ორდენში შეირიცხებიან.

**თბილისი**, 11 ივლისს. ღვს დიდიდან დაწყობილი თბილისში ძალიან დიდი და და-უდგომელი ქარი იყო. 2 საათს და 45 მინუტს ქარი ცოტა ხანს შესწყდა. 2 საათს და 48 მ-ნუტს შეიქნა საშინელი მიწის ძვრა, რომე-ლიც, როგორც შევნიშნეთ, იყო სახრეთი-დგან ჩრდილოეთისკენ. ტერმომეტრი ამ დროს ჩრდილოში აჩვენებდა 20°. მიწის ძვრის შემდეგ ადგა უმეტესი ქარი და მთელი ღამე არ დამდგარა, როცა ეს შემთხვევა მოხდა, ბე-ერს სახლებში, ფანჯრებმა და კარებმა საში-ნელი ზუზუნით რომ დაიწყეს და კედლებიც ინძრებოდნენ, ეგონათ ვითომც ეს სულ ქა-რისაგან იყო; მაგრამ, როდესაც კარგათ დაა-კვირდნენ, შეიტყეს, რომ ამისთანა მოვლენა მიწის ძვრამ მოიტანა, როგორც გვიგეთ მი-წის — ძვრა უმეტესათ სოლოლაკისკენ ყოფი-ლა.

მისრა არაა და თვისი მხედრები  
 აქ გმირულათა უტარებია,  
 მტერსა ძლიერს და მძინვარეს  
 მდგრაათ შემბროძობებია.  
 აქ ბუნიადის მახვილი  
 მტერსა ჰკაფედა და სრედა  
 მათსა ძალას და უფლებას,  
 ძლიერის მკლავით აღფხვირდა.  
 თვისუფლებზე! აქ შენი  
 დროშა მრავალჯერ გაშლილა  
 და შენის გულისათვისა  
 მთლათ ჩვენი ხალხი აშლილა;  
 საუკეთესო მოძმენი,  
 მშენებე ჩვენი ქვეყნისა,  
 სისხლის ბრძოლის ველს უშიშრათ  
 შენთვის ჩასულან საულაესა.  
 ჰოი სამშობლო! რამდენი  
 ტანჯვა გინახავს ბედისგან  
 და შერყეულხარ ძირამდის  
 უზომოთ მძლავრის მტერისგან;  
 მაგრამ აქაც, ამ ტანჯულს  
 და შეწუბუტულს ყოფაში,  
 ცოცხალი დარჩი, გმირ — ხალხო,  
 ჯაყისგან მოხრილი წელში.  
 ცოცხალი არის ეს ხალხი  
 და შეგვალს ქვეყანას მთელსა,

— მენის სათეატრო გაზეთში, (Neue Wiener teatre — Zeitung), 4 აპრილს, სწე-რენ: „უკანასკნელი საღამო“ Hilaria“ ძა-ლიან შესანიშნავი იყო პუბლიკისთვის, უმე-ტესათ კონცერტის უკანასკნელი პიესების ას-რულებით. ჩვენ სიამოვნებით ვისმინეთ ფო-რტეპიანოზე დაკრა უ. უ. შულცისა, ჰენ-რიხ ბოკლმისა და **ალონია მიხანდარი-**სა. პუბლიკამ უმეტესი ყურადღება მიექცია უკანასკნელს, ახალგაზდა ფორტუოზს (\*), თვი-ლისიდან, რომელიც ამ ქვეშათ თვისს სამშობ-ლოში ბრუნდება, თვისს მშვენიერი, (елеган-тная игра) და გენიურ დაკრით (гениальная иг-ра). **შ. მიხან** დარმა დაუკრა უკანასკნელი დროების სასტუმრო პიესები (современныи салонныи пьесы) პრუდენტისა და **დელერისა** და პუბლიკას ისე მოეწონა იმისი დაკრა, რომ გაამეორებინა ეს პიესები, თუმცა ძალი-ან იშვიათთ მოხდება ხოლმე, რომ მენის პუ-ბლიკამ ფორტეპიანოზე დამკვრელს არტისტს გაამეორებინოს დაკრა.“  
 ამ გვართევე სწერენ სამს სხვა მენის გაზეთებ-ში: „Die Debatte“ ში, 31 მარტს, „Wanderer“-ში, 1 აპრილს და „Fordenplate“-ში. (\*\*)

(\*) მირტუოზი — იტალიანური სიტყვაა, ნიშნავს პირს, რომელსაც დაბოლოვებით შეუსრულებია და უს-წყაილია რომელიმე ხელოვნება; ეს სიტყვა უმეტესათ მიღებულია მუზიკაში. მაშასადამე, მენის გაზეთების სიტყვით, ჩვენს ახალგაზდა მიხანდარს დაბოლოვებით უსწყაილია მუზიკა.

(\*\*) როგორც ვიცით, უ. მიხანდარი დაბრუნდა მენიდან და ამ ქვეშათ მუთაისს იმყოფება. ამბობენ, ვითომც ამ ზამთარს ჩამოვა თბილისში და მისცემს აქ რამდენსავე კონცერტს. ადრევე ვახარებთ თბილისის პუბლიკას — რადგანაც, ვიდრე სამზღვარს გარეთ წავი-დოდა, (1864 წ.), უ. მიხანდარს აქ-ური პუბლიკა ალტაცებაში მოჰყენდა თავისი დაკრით. ახლა ხომ,

და ხშირ ესე კვენისა  
 მღება მთელსა ხმელეთსა.  
 ათასის წლისა ტანჯვანი  
 აღარ გვეტეფან გულსა, —  
 სიოცხლე ანუ სიკვდილი  
 წინ უძევს მშობელს მამულსა...  
 არ შეიძლება, რომ სისხლი  
 ამდენი მამა პაპისა  
 მიწას შეეცვას იმისთვის,  
 რომ მივეცეს მარტს და სირცხვილს;  
 არ შეიძლება, რომ ამდენს  
 თათისის ქვეყნის ტანჯვასა  
 მამულის ერთგული ძენი  
 მისცემდნენ დაიწეებას!  
 არ შეიძლება, რომ ესე  
 ძალიან მხურვალე გულთა  
 და ესე ძლიერი მკლავი  
 შეკაცოთ მხნეთა და გმირთა  
 მისთვის დანიშქენ უბრალათ —  
 თვის ბედის ცხარე ბრძოლაში,  
 რომ ვითომც ჩვენი ქვეყანა  
 იყვეს ღვთისგან წყევამი!  
 არ შეიძლება... მოვა დრო  
 მოვა, მომმენო, გარწმუნებთ,  
 მოვლენ ის დღენი, რომელთაც  
 მოველით ასრე მხურვალეთ,

„დროების“ კორესპონდენცია.

ახალციხიდან.  
 რომ ჩვენი ახალციხე ამ ქვეშათ მილოლამს „გზასა ზედა განათლებისასა“, ამას გვიმტკი-უტება:

პირველად, რომ აქ გახსნეს სასტუმრო (гостинница), სადაც ყოველ ღამე აქაური განათლებული პირები ქალაქს თამაშობენ. მეორედ, რომ აქ ჩვენ საზოგადო ბაღი (ბულვარი) გვაქვს; იმაში აშენებულთა რომ-ტანდა, სადაც აქაური განათლებული ქალე-ბი თითქმის ყოველღამე ღამის ათ საათამდინ ხტან (ტანციობენ). მესამედ, რომ აქ პირველად დაარსდა „უსა-ხელო სახლი“, სადაც ყოველ ღამე ორღანო იკვრის. ამ სახლში განათლებულნი და გაუნათ-ლებულნიც შედიან და გამოდიან; „ვითომც თათიანთი საკუთარი სახლია.“

მე თვითონ ახალციხელი ვარ და ჩემი სა-მშობლო ქალაქი კი ვეღარ მიცნა! მისაც ვხედავ, ყველა განათლებულთა! მისაც სახლში ლეკმა პურის ჰამაც უჭირს, ისიც გამოარან-ქულა ახალ ტანისამოსებში და გაბერილი ამა-ყათ დაღის ბულვარზე; განათლებული! აქ რომელ ქალსაც ხაზარდა აცვია, უფველად, ისიც განათლებული უნდა იყოს.

ახალციხის განათლებაში და წინ-წყევლაში დიდი ზედ — მოქმედება აქვსთ ახლად დაბინა-ვებულ მლიწავეტროპოლის პოლიცის აფიცრებს, რომელთაც სრულებით აღტაცებაში მოიყვან-ეს აქაური ქალები თათიანთ ექსილბანტებთ რადგანაც, თითქმის სამის წლის სამზღვარ გარეთ ყო-ფნამ ისე დაახლოვნა მუზიკაში, რომ მენის პუბლიკაც კი აღტაცებაში მოიყვანა, — რაღა გვეტყვის ჩვენ, რომ-ლებიც რიგიანი არტისტების დაკრით არა ვართ განე-ბიერებულნი, როგორც მენა, სადაც არას დროს არ გამოიღვება მეროპაში განთქმული დამკვრელი. რედ.

### წმინდა სიმღერა.

(წმინდა სიმღერა.)  
 მადიარ იყავ უცვლელათ  
 მითუგული შენის ქვეყნისა!  
 იქა ხარ დაბადებული  
 და იქვე ჩახვალ საულაესა.  
 ისა გზარდის, გივლის, გაატრონობს,  
 შისტუმრებს შორის გზაზედა,  
 სიკვდილის შემდგომ მშობლურათ  
 ის მიგისვენებს გულზედა.  
 მერსადა მთელსა ხმელეთზედა  
 მერ პოევებ ისრეთს ადვილსა,  
 სადაც ნახავდე ალერსსა  
 და სიყვარულსა აშვარსა.  
 აქ საბრძოლველათ მტერისა  
 უნდა ატარო შენ ხმალი,  
 უნდა იბრძოლო, ვიდრემდის  
 არ დაგელება მკლავს ძალი.  
 მადიარ იყავ უცვლელათ  
 მითუგული შენის ქვეყნისა!  
 აქ გმირულათა ჩაღვრილა  
 სისხლი მამა და პაპისა.  
 აუარებლათ ტრაილებს  
 მის ხსოვნა ჩვენსა მამულში,  
 შითა მნათობა ვარსკვლავი  
 ბნელათ მოფენილს ღამეში.

და შპორებით. სწორეთ ესენი არიან მიზეზნი, რომ ჩვენი ახალციხე თავით — ფეხმადისნი აყვად; ყველა ამათ უმადონს. აქაური ვაქრები მწერის ლოცვენ, რომ ისინი მუდამ აქ დარჩნენ, რადგან იმით გულსათვის ჩვენი ქალები ყოველ დღე ახალ — ახალ ტანისამოსებს ყიდულობენ; აქაური სასტუმროს შემსახველი ხომ სულ გამადიდრეს; ყოველად მათი კალიადი დაბეჭდილი ქაღალდის სხეა. მითო მანეთთ, მარტო ქაღალდის ფული შეარდენს ოც მანეთს.

აი, ამ ქ. მ-დ, როგორ ატარებენ დროსა აქაური განათლებული კაცები და ქალები.

ქალები დღით სარამომადინ ტანისამოსის კერავში და მომზადებაში არიან. ამ დროს კაცები ზოგნი თავიანთ საქმეში არიან, ზოგნი სასტუმროში, სადაც ერთი ვაი-ვაელები და ჰაზან — წყევლა არის ქაღალდის თამაზობაში. საღამოზედ ბულვარზე მუხიკა იკვრის. ამ დროს იკრებიან ყველა განათლებულნი კაცნი და ქალები და იწყება რორტონაში ხტომა (ტანციობა). აქ უ „მოსიოთ“ და უ „მადამოთ“ არა ღაპარაკი არ დაიწყება.

მალი ეუბნება თავის კავალერს:

— Monsieur N, ах, какая славная сегодня погода! я люблю летнюю, тихую ночь; особенно когда и музыка играет.

— Эх, Madame, еубნება თავისი კავალერი; приятно музыку слушать, но съ нами быть еще приятнее.

— Ах, monsieur, какой вы проказник! მეორე კუთხეში ერთი ახალგაზდა აფიცერი გვერდით უჯდა ერთს ახალ-გაზდა ქალსა. ახალგაზდა კავალერი რაღასაც ელაპარაკებოდა, ქალიც ხარხარობდა.

— Скажите, пожалуйста, M—сье, (ჰკითხავს ქალი თავის კავალერს) вы никогда не влюблялись?

— Прежде нѣтъ, mademoiselle, (მიუგებს კავალერი).

— А теперь развѣ вы влюблены?

— Не знаю, можетъ быть. (\*)

მესამე კუთხეში იჯდა ერთი მოხუცებული ქალი; იმას გვერდით უჯდა ახალგაზდა ქალი გლასის კაბით მშვენიერათ მოპრანკული; მაგრამ იმ ახალგაზდა ქალს ის ძვირფასი ტანი-

სამოსი ისე უხდებოდა, როგორც, ეტყეათ, ხარს ცხენის უნაგირი (ანხახი). ისინი იყენენ ჩვენი, აქაური ახალციხელი ქართველი ქალები. არც დედას და არც ქალს არ ესმოდათ რუსული; დედას თავისი ქალი ჩამოეყვანა როტონდაში გასაშინჯათ. ახლაც სულ იმის მოლოდინე არის, რომ ვეები ვინმე ჩინი იანმა კაცმა ითხოვოს ჩემი ქალიო.

აქ სწორეთ ქალებს იარაღუკობა!

ლამის ამ სათზე თავდება ტანციობა. შევლანი დაიფანტებოდნ. ზანთლებული ვაცები ტანციობის შემდეგ მიდიან სასტუმროში და მთელ ღამეს ქაღალდს თამაზობენ. მინ იცის, იმაში რაერთი კოტრდება, რომელი რას ავირავებს!!

აღერ თითქმის ორი კვირისა, რაც დიდი მთაერის, ნამესტრისკის მობძანებას ელოდნენ ახალციხეში. ამის გამო აქაურმა უჩუბის ნაჩაღნიკმა გამოიტორგა საფულებიდან გლეხები, რომ დასუსტებადნენ ქუჩები და გაეცეთათ გვები. ახლა სრულეში მუშაობის დაწყების მისი დრო არის, ისინი კი, ასზე მეტი, აქ ჩამოვიდნენ ქუჩების გასასუსტებლათ. შიში-სოთ აქ ქუჩები საძველ სუნით ყარს, ახლაცი ნამესტრისკის მობძანების დროს მოუნდათ გასუსტებოდა; რა არის აჩვენონ, რომ ასე სუსტათ ვევირავს მუდამ ქალაქიო...

ღეს ღამის რეას სათზედ — მისი იმპერატორებითი შმალელობა, დიდი მთაერი, მიხილ ნიკოლოზის ძე მობძანდა ახალციხეში. მას მიეგებნენ მრავალნი ცხენოსნები და ღიდის პატივით მიიღეს.

### პოლიტიკა.

სამპრდნითი. 6 (18) ივნისს. აქ ხშირათ მოგვდის მსმალეთის მმართველობისაგან საჩივარი და მუქარა იმაზედ, რომ საბერძნეთის მინისტრები ბერძენებს არ უშლიან კანდიდელებს ყოველგვარი შემწეობა მისცენ. შუად-თაშამ კიდეც მოაგონა იმათ საბერძნეთისაგან ნეიტრალიტეტის დარღვევა, და ამის დასამტკიცებლად იმას მოჰყავს 127 და 138 მუხლები საბერძნეთის სჯულებიდან. ამ სჯულის დებულების საფუძვლით შუად-თაშამ ჰკითხავს ათინის მმართველობას, რატომ არ დაისჯებიან ის კაცნი, რომელნიც მმართველობის დაუკითხველად აგროვებენა ჯარსკანდიელების მისამველებლათ. მოხსენებული მუხლები სრულებით არ შეეხება იმას, რასაც შუად-თაშამ თავისს ნოტაში ამბობს. მაგრამ

მსმალეთის მინისტრი ამით არ ათავებს საქმს. ის გეარცხვენს იმით, რომ ჩვენ გული გვტკივა ჩვენი თანამემამულეების ტანჯავზედ. იმისი აზრით ჩვენ თავი უნდა დავანებოთ კანდიელების ანუ თესლაიელების ადგომის წაქეზებას და შევიყვაროთ ოსმალები. ზუშინ ანდილიდან მოვიდა პირიაში იტალიელების გემი და თან მოიყვანა ირაკლიდან 70 დედაკაცი და პატარა ყმაწვილები. იმან მოიტანა ამბავი, რომ ბრძოლა ხშირად მოხდება ხოლომეო და ამ ცოტას ხანში კუნთულს აღმოსავლეთის მაზრაში იქნება დიდი ომი.

„არკადონის“ მსმალეთის ცეცხლის გემებთან შებრძოლებას ძალიან ალტაცებაში მოჰყავს ბერძნები. აი ერთი შემთხვევა, რომელიც გეჩვენებს ბერძნები რა მდგომარეობაში არიან. როდესაც მიფის ქალაქის მცხოვრებლებმა შეიტყეს, რომ „არკადონის“ ჩეჩიგოტას ნავთ-ადგომში იწყებებოდა და გარს მსმალეთის გემები შემოარტყიაო, სადაც უეცვლათ იმას წაუხდენელს არ გაუშვებნო, ისინი ორასამდინ კაცი ჩასხდნენ იარაღში და იქ მყოფს რომელსაც ცეცხლის გემის კაპიტანს სთხედეს წაესხა ისინი „არკადონის“ მისამველებლათ. პატიმარა უარი უთხრა და სხვებან გამგზავნა. მაშინ იყო გულის აღმძვრელი სანაზავი. შიქმნა ეკლესიების ზარების რეკა; ხალხი დადიოდა ქუჩა ქუჩა და მოქალაქეებს აგროვებდა „არკადონის“ მისამველებლათ. ნავთ-სადგომი და ნავები გაიფანტა შეიარაღებული ხალხითა, რომელმაც უფლებად წყველა გააყოლა უკან კაპიტანს, რომელმაც იმათ ცეცხლის გემი არ მისცა.

სამოხარი ასპრეზი მემრ-თაშამ მანდიის აღმოსავლეთის მაზრებში გადიტანა, ამ უკანასკნელ დროში თორან მემრ-თაშამ იწყებებოდა ბანაკზედ მასტელ-პედიადში და ერთი ნაწილი იმის ჯარისა 5-6-სიათასამდინ, რომელსაც რემიდ-თაშა და პლი-სარასი-თაშა წინამძღომეობდნენ, ლაზის მაზრაში წავიდა. იქ დახვდათ ქრისტიანების ჯარი 8 ათასამდინ, უპირველესი წინამძღომეებით: კორნეოსით, პეტრეოლაკით და სხვ. 21 რიცხვში ოსმალები დაეცნენ იმათ ორ მხრივ და შემდგომ ხანგროლივის ომისა, იმათ დაიჭირეს უმცირესი ნაწილი მთის წვერზედ. მაშინ ელონტრეებმა მოუარს იმათ უკანიდგან და გზა შეუკრეს მემრ-თაშის ჯარებთან შეერთებისა. მსმალეებს ჩქარა მიეშველნენ და შემდგომ გრძელის ომისა, დიდი დანაკლისით ოსმალები უკან დაბრუნდნენ. მგრეთვე ის

ჯარი, რომელიც შრისსესი იდეა მამედ-თაშის წინამძღომეობით, ახსენებენ მდგომარეობაში. ინსურგენტებმა „მეტეცეს“ იმათ გზა ზღვისაკენ, ასე რომ იმათთვის გაგზავნილმა ხორავმა და სამხედრო იარაღმა დანიშნულს ალაგას ვერ მიადრწია. მამედ-თაშას სამი ბატალიონი ჯარი მიამშველეს. მს გენერალი ორჯელ დაეცა ბერძნებს და ორჯელვე უკან გამოაბრუნეს. ინსურგენტებმა, რომლებსაც წინაშე დიდა ზიმბაკაკისი, დიდი დანაკლისით გააქციეს ოსმალები მათესაკენ. მამედ-თაშის გამარჯვება, რომელიც ექვსს ბატალიონს უძღვის, მარტო ის არის, რომ ის სღვის ქრისტიანების ცოლშვილებს, რომლებიც შიმშილის გულისთვის ჩამოდიან ეაკეზედ, და სწვავს ბერძნების სხლებს და მოსავალს, სადაც კი დარჩომილან. მემრ-თაშის მეორე უმძლავრესმა დაცვამ ბერძნებზედ ისრე ვერა გააფორა, როგორც პირველმა. მემრ-თაშა დაეცა ინსურგენტებს 20 ათასის კაცით, 18 ზარბანით, 3 ათასის ცხენოსნით და სხვა ჯარებით. მს ჯარი სამათ იყო გაყოფილი. პირველს წინამძღომლობდა სერხოთაშა და პირის სიმერეს დაცვა. მეორეს — იზმილ-თაშა, გვირგვინი, მანდიში დაბადებული; ის მოქმედებდა შრისის ახლო მახლო ადგილებში. ლა მესამეს — რემიდ-თაშენდი, რომელიც დაეცა ნოიბიტოში გამარჯვებულ ბერძნებს, მსმალეებმა სამ მხრივ მოახდინეს ბერძნების ერთბაშად თავს დასხმა, მაგრამ მაინც ვერა გააწყეს რა. თავიანთივე სიტყვით, იმათ მოუკედათ 2,000. ინსურგენტები გულმაგრა არიან. ისრეთი კანდიელი არ იბოვება, რომ იარაღის ტარება შეეძლოს, და ომი არ დასწრობოდეს. მემრ-თაშამ დანიხა, რომ ადგომის მოსპობა შეუძლებელია, და ამისთვის პოსტანტინეპოლიდან მოიხიზოვა კიდეც ჯარი. როგორც თქვენიც ვაიებდით, იმას დაუნიშნეს მისამველებლათ ათი ათასი სალდათი. მაგრამ, როგორც მეგისტის აღმირალიმა მასი-თაშამ მოილაპარაკა ფრანკუზების კონსულთან, მანდიის დასამშვიდებლ თ ორმოცდ. ათი ათასიც არ ეყოფა მემრ-თაშას ამისთვის რომ, როგორც ოსმალოებს ემაცებათ ჯარი, ისრე ინსურგენტებიც მოაეღებოან. მასი-თაშის სიტყვით ქრისტიანები ყველანი კარგათ არიან შეიარაღებულნი და რომელიმე ელონტრეების შეწყვენით, რომელთაც ადრე საბერძნეთის ჯარში უმსახურნათ, ინსურგენტების რაზმებს ვერ გამოარჩეთ სხვა სახელმწიფოების ნასწავლ ჯარებთან. როდ-

#### მშობლურის სიტყვები

მოგადებს ბელტსა გულზედა. მერსადა მთელსა ხელგებზედ მერ ჰპოვებ შენ სხვა ადგილსა, სადაც ჰპოვებდ აღონსა, და სიყვარულსა ამგვარსა. აქ საბრძოლველათ მტრისა უნდა ატარო შენი ზმალი უნდა იბრძოლო, ვიდრემდის არ დაგვლევა მკლავს ძალი. ანტონ შურცელაძე.

### სამბუდი მოტივები.

შტის და მორავს კარებთანა ზედაფრი ფიცრი ცხენი... ნუ ცხარობ! აგერა ჩქარა მამაცათ პატრონი შენი წელზედ შეირტყავს პასის ხმალსა. და ტუისკენ გავიკრავს თავსა — მოიცადე კიდეც ცოტა — ის გამოსალმების დროსა საცოლოს ეუბნებოდა: — მშვიდობით ჩემო სიციცხლე! მუშეცა მტრის შეგებრობლები, შიქრი ნუ გაქვს, არ მოკვდები. ჩემთან ბერი უხუცენიათ, ჩემთვის ვერა დაუცლიათ.

და თუ რომ გულში გამივიდს მტრის თოფისა ცხარე ტყვია: ნუ შეწუხდები, გახსოვდეს საქრმო ვისთვისაც მკვდარია. ბედნიერია ის კაცი, მინც მართლისთვის კვდება ომში... რა რიგ მიყვრხარ ხო იცი! ნუ დამივიწყებ ლოცვებში... მოდი გიუფრო კიდევ: ანდა განაპ, ან აღარა. — გამოსალმებან რათ სწუხარ? მტყვის საცოლო საქრმოსა, მხედვებ მე როგორ მაგრა ვარ! ხომ რწმუნობ ჩემს სიყვარულსა... მაგრამ ეხლა დრო არ არის სიყვარულის ცრემლის დაღვრის! ჰხედვებ ხალხის მწუხარებას! წითლად სისხლია მინდორი... უნდა მივცეთ მოთმინებას ჩვენი ტრფობა, სიყვარული: მწუხარებისა ცრემლითა მამული გვზოვს შველას ძეთა. მე ღირსი არ ვიქნებოდი შენის ცხარისა ტრფომისა, მთ რომ შენ მეყვარებოდი უშეტყხათ მამულითა.

მასწი მოაგექ მარათ ცხენს. დაუწყებ ფლელა ჩენსა მტრის... ბალახი სისხლით შესეროლა, შევილი მოთელილია: აქ გმირთ სერბთ ბრძოლა ყოვილა, აგერ მათ მკვდრებიც მყრია. დედა მთლათ გაფითრებული, სრემში ლულულედებს რალსაც, დანის გალხ გამწვარებული და მკვდრებში ეძებს ვილასაც... აგერ საცოლო მუხლზედა დგას მოკლულის საქრმოს წინა... — ბეძინოს — ეუბნებოდა — მელარ გახარებ მე შენა. — აღარ აღხდებე ღმირლით ჩემის ცხარისა კოცნიითა... იცოდე, რომ მამულიეთ მსლა მიყვარხარ მხოლოთა. ანტონ შურცელაძე.

### შენიშვნა.

სტატიაში: „სტატიაზედ: მართული წარმოდგენა ტფილისში“ მომხდარა შემდეგი შეცდომილებანი: 26 №-ში. პირველი გვერდის პირველ სვეტში, ქვევიდამ, მესამე ტრიქონში არის... და

უმეტესად კრიტიკისთვის. — უნდა: დაუმეტესად კრიტიკისთვის არის საქირო. მესამე სვეტში, ქვევიდამ, მეშვიდე ტრიქონში არის: გაჩეცა ჩვენი საზოგადოება. — მართი ეს არის მართალი? — უნდა: გაჩეცა ჩვენი საზოგადოება და გაძდა თვალი ერთისა და იმავე სურათის ყურებითა. — მართი ეს არის მართალი? 27 №-ში. პირველი გვერდის მეოთხე სვეტში, ქვევიდამ, მეთექვსმეტე ტრიქონში არის: აბრაჰიანისა — უნდა იყო: აბრაჰიანისა; მესამე სვეტში, ქვევიდამ, მეათე ტრიქონში არის: დაესრულებინა — უნდა: და აესრულებინა. მეოთხე სვეტში, ქვევიდამ, მეცხრამეტე ტრიქონში არის: დამწერალს — უნდა: დამწერს; იქვე, ქვევიდამ, მეთექვსმეტე ტრიქონში არის: რომ — უნდა: ხომ; იქვე, ქვევიდამ მეათე ტრიქონში არის: აი — არ უნდა; მესამე გვერდის პირველ სვეტში, ზევიდამ, მეორე ტრიქონში არის: დაღმეფით — უნდა: დაღრეფით, იქვე, ზევიდამ, მესმეთე ტრიქონში არის: გაგზევეთ — უნდა: გაგვევეთ.



